# სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ორწლიანი საქმიანობის შეჯამება



- შემუშავდა საგამოძიებო მიმართულების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

- განხორციელდა ცვლილებები „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში

- საზოგადოების ინფორმირების მიზნით შეიქმნა საგამოძიებო მიმართულების ვებგვერდი

- ამოქმედდა და მოეწყო საგამოძიებო დეპარტამენტის 3 ოფისი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში

- გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საგამოძიებო დეპარტამენტში შეიქმნა ოპერატიული სამმართველო

- დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, საგამოძიებო დეპარტამენტში დასაქმდნენ ექსპერტ-კრიმინალისტები, რომლებიც აღიჭურვნენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით



- ღია და რამდენიმე ეტაპიანი კონკურსების საფუძველზე დაკომპლექტდა საგამოძიებო დეპარტამენტი. შერჩევის პროცესში მონაწილეობდნენ არასამთავრობო სექტორისა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები

- ჩატარდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელთა 3 საკვალიფიკაციო გამოცდა

- საგამოძიებო დეპარტამენტში დაინერგა ანაზღაურებადი სტაჟირების სისტემა

- სტაჟიორებისთვის დაინერგა მენტორობის პროგრამა

ცხელი ხაზი - 199
www.sis.gov.ge

## კანონისა და მაღალი ეთიკური სტანდარტების შესაბამისი გამოძიების წარმოების მიზნით:

- შეიქმნა საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი

- შემუშავდა დისციპლინური წარმოების წესები

- შეიქმნა თანამშრომელთა შეფასების შედეგების გასაჩივრების, წახალისებისა და დისციპლინურ საკითხთა განმხილველი საბჭო

დროული, ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის და სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებზე სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების მიზნით:

- ამოქმედდა 24 საათიანი ცხელი ხაზი - 199

- დაინერგა სხვადასხვა უწყებებიდან შესაძლო დანაშაულის შესახებ შეტყობინებათა დაუყოვნებლივ მიღების მექანიზმი

- შემუშავდა სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია

- სამსახურის აქტიური ჩართულობით, იუსტიციის სამინისტროში მოქმედმა უწყებათაშორისმა საბჭომ შეიმუშავა „ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა“

**სამსახურის საგამოძიებო ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით:**

- დაკავებულთა და დაპატიმრებულთათვის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსდა საინფორმაციო ბროშურები
- საზოგადოებრივ ტრანსპორტში (ავტობუსებში, მეტროებში) განთავსდა საინფორმაციო პოსტერები
- სხვადასხვა რეგიონში დარიგდა საინფორმაციო ბროშურები
- საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებთან, სახალხო დამცველისა და არასამთავრო სექტორის წარმომადგენლებთან
- ჩატარდა შეხვედრები ჟურნალისტებთან

არასრულწლოვანთა ჭეშმარიტ ინტერესზე ორიენტირებული გამოძიების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით:

- ქუთაისისა და ბათუმის ოფისებში მოეწყო არასრულწლოვანზე მორგებული გარემო

- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროცესის არასრულწლოვანი მონაწილის ფსიქოლოგით უზრუნველსაყოფად

- გამომძიებლებმა გაიარეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაციის კურსი

# ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით:

- გამომძიებლებისთვის შემუშავდა გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო

- საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, სხვადასხვა საკითხზე, შემუშავდა რეკომენდაციები

- გამომძიებლებისთვის დაინერგა გამოძიების ეფექტიანობის თვითშეფასების კითხვარი

- საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შემუშავდა ექსპერტიზის დანიშვნის სახელმძღვანელო

## არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით:



- გამოძიების პროცესში სამართალდამცავ სისტემებში გამოვლენილი გამოწვევები აისახა სამსახურის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში

- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები (მათ შორის, რეგიონებში) საჯარო უწყებებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან სამსახურის მიერ გამოვლენილი გამოწვევების მათთვის გასაცნობად

- ჩატარდა კვლევა სხვადასხვა ქვეყნების დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ

## კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა 9 კვლევა შემდეგ საკითხებზე:

- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების საუკეთესო ევროპული პრაქტიკა
- ევროპის კანონმდებლობა და პრაქტიკა პოლიციის განყოფილებებსა და დაკავების/პატიმრობის ადგილებში ვიდეოჩანაწერებზე საგამოძიებო სამსახურების წვდომასთან დაკავშირებით
- მოწმის დაცვის სპეციალური ღონისძიებები და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოები ევროპისა და სხვა რელევანტური ქვეყნების სისტემებში
- საერთაშორისო და შიდა პრაქტიკა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა შესახებ
- გამომძიებლების საქმიანობის შეფასების სისტემა
- ხელბორკილების გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტები
- პოლიციის ოფიცერთა გამოკითხვის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები
- თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები
- დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმების მიერ განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები

## გამომძიებელთა პროფესიული გაძლიერების მიზნით:



- ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაინერგა HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი - „არასათანადო მოპყრობის აკრძალვის თაობაზე, სამართალდამცავი, უსაფრთხოებისა და სხვა იძულებითი ზომების გამოყენების კონტექსტში“

- საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 25 ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა.

- საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროპის საბჭოში

# სახალხო დამცველის აპარატთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა

- გაიმართა შეხვედრები სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საქართველოს ყველა რეგიონში

- სახალხო დამცველის აპარატთან და არასამთავრობო სექტორთან მიმდინარეობს კოორდინაცია საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით

- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ჩართულნი არიან გამომძიებელთა შერჩევის პროცესში

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (IDFI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან თანამშრომლობით, მომზადდა კვლევა „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში - მიღწევები და არსებული გამოწვევები“

## საერთაშორისო თანამშრომლობა

- გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და არსებული გამოწვევების შესახებ

- საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად უწევენ სამსახურს საექსპერტო, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას

- გაიმართა ვებინარი ანალოგიური ფუნქციის ევროპულ ორგანოსთან - ინგლისისა და უელსის პოლიციის ქცევის დამოუკიდებელ ოფისთან (IOPC)

## ძირითადი გამოწვევები:

- სხვა უწყებებზე დამოკიდებულება
- საგამოძიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნა
- პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაუბრკოლებლად შესვლა
- საგამოძიებო ქვემდებარეობასთან დაკავშირებული ხარვეზები
- სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულების სპეციფიკის შესაბამისი მოწმის დაცვის ღონისძიებები
- არასაკმარისი ტერიტორიული ორგანოები
- გამომძიებელთა არასაკმარისი რაოდენობა

სახელმწიფო
ინსპექტორის სამსახური

ცხელი ხაზი - 199

www.sis.gov.ge